



სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის  
აკადემიური საბჭო  
დადგენილება № 01-05-04/03

ა. თბილისი

14 თებერვალი 2018

**ჩარჩოდოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო  
პროგრამა „სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკის“  
მოდულიზირებული სახით დამტკიცების შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, სტუ-ის წესდების მე-8 მუხლის, სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის დეკანის მიერ წარმოდგენილი მოხსენებითი ბარათის და აკადემიური საბჭოს 2018 წლის 14 თებერვლის №1 ოქმის საფუძველზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:

დამტკიცდეს ჩარჩოდოკუმენტის საფუძველზე შექმნილი მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა“ (მისანიჭებელი კვალიფიკაცია – სატრანსპორტო ლოგისტიკის ოპერატორის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია) მოდიფიცირებული სახით.

დადგენილებას თან ერთვის სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის საბჭოს 2018 წლის 02 თებერვლის სხდომის №2 ოქმიდან ამონაწერი განხორციელებული ცვლილებების აღწერით (იხ. დანართი).

დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე



ა. ფრანგიშვილი

აკადემიური საბჭოს მდივანი



გ. სალუქვაძე